ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ონლაინ მედიის მონიტორინგის წინასწარი ანგარიში

5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ 3

კვლევის მეთოდოლოგია 3

ონლაინ მედიის მონიტორინგის ძირითადი მიგნებები 4

დანართი: დიაგრამები 7

ambebi.ge 7

batumelebi.ge 8

guriismoambe.ge 9

interpressnews.ge 10

knews.ge 11

kutaisipost.ge 12

livepress.ge 13

mpn.ge 14

netgazeti.ge 15

news.on.ge 16

publika.ge 17

qartli.ge 18

radiotavisupleba.ge 19

reginfo.ge 20

sknews.ge 21

sputnik-georgia.com 22

tabula.ge 23

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტ „საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევის“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, დააკვირდა ონლაინ მედიაში 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2021 წლის 5 ივლისს.

კვლევის მეთოდოლოგია

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია, მაგრამ მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ფოტოთი მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა და ა.შ.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობენ. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრეზიდენტი, ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი.

მონიტორინგი უტარდებოდა არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სტატიებს, არამედ ყველა მასალას, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი.

მონიტორინგი არ ხორციელდება სარეკლამო მასალებზე, რომლებიც სათანადოდ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

შუალედურ ანგარიშში წარმოდგენილია ონლაინ მედიის მონიტორინგის ძირითადი შედეგები. თითოეული შერჩეული ონლაინ მედიასაშუალების დეტალური შეფასება წარმოდგენილი იქნება მონიტორინგის საბოლოო ანგარიშში.

მედიამონიტორინგისთვის შეირჩა 17 ონლაინ მედიასაშუალება: ambebi.ge, batumelebi.ge, guriismoambe.com, interpressnews.ge, knews.ge, kutaisipost.ge, livepress.ge, mpn.ge, netgazeti.ge, news.on.ge, publika.ge, qartli.ge, radiotavisupleba.ge, reginfo.ge, sknews.ge, sputnik-georgia.com, tabula.ge. 17-დან 8 რეგიონული ონლაინ გამოცემაა, რაც შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო. შერჩევა განხორციელდა რეიტინგებისა და მედიის სპეციალისტების გამოკითხვის საფუძველზე.

ონლაინ მედიის მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

- ონლაინ მედიის უმეტეს ნაწილში შეინიშნება სარედაქციო დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. ასეთი მედიაორგანიზაციების მიერ მათსავე ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, მფლობელები არ არიან ხელისუფლებასთან ან პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული პირები (მფლობელების შესახებ ინფორმაცია 17-დან 14 ონლაინ გამოცემას აქვს გამოქვეყნებული). ამასთან, ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ საქართველოში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან, რაც დიდწილად განაპირობებს ამ გამოცემების სარედაქციო დამოუკიდებლობას;

- ონლაინ მედიაში ნაკლებად იგრძნობა მკვეთრი პოლიტიკური პოლარიზაცია. თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე ვებ-გვერდი, რომლებზეც აშკარად შეინიშნება დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის მიმართ (მაგალითად, mpn.ge, sputnik-georgia.com, interpessnews.ge, knews.ge) ან ოპოზიციის მიმართ (მაგალითად, guriismoambe.com);

- ონლაინ გამოცემების უმეტესობას არ აქვს გამოქვეყნებული თავის ვებ-გვერდზე სარედაქციო ქცევის კოდექსი. ამ მხრივ, გამონაკლისია მხოლოდ 3 მედიაორგანიზაცია: livepress.ge, News.on.ge და Tabula.ge, რომლებსაც სრულყოფილად აქვთ ეს ინფორმაცია განთავსებული. ამის მიუხედავად, ონლაინ გამოცემების დიდი ნაწილი ცდილობს და ახერხებს, რომ ჯეროვნად დაიცვას ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები.

  ჟურნალისტური სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება შეინიშნება ვებგვერდებზე: batumelebi.ge, livepress.ge, netgazeti.ge, news.on.ge, publika.ge, radiotavisupleba.ge, reginfo.ge და sknews.ge. ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მუშაობს tabula.ge, თუმცა ხშირად გვხვდება ფოტომანიპულაციის შემთხვევები, რომლებშიც მმართველი პარტიის წარმომადგენლები განგებ არიან წარმოდგენილნი დამცინავი თუ დამაკნინებელი ფორმით.

ჟურნალისტური სტანდარტების უმძიმესი დარღვევის შემთხვევები მონიტორინგისთვის შერჩეულ ონლაინ გამოცემებს შორის სისტემატურად გვხვდება მხოლოდ ერთ ვებგვერდზე, mpn.ge, რომელიც ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დისკრედიტაციის მცდელობისას ხშირად მიმართავს სიძულვილის ენის, უკიდურესად შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის, უხამსობის, ჰომოფობიური და სექსისტური განცხადებების ტირაჟირებას. მმართველი გუნდის წარმომადგენელთა მიმართ გამოთქმული განსაკუთრებულად შეურაცხმყოფელი განცხადებები ხშირად ქვეყნდება რეგიონულ ვებგვერდზე guriismoambe.com. პოლიტიკური მოვლენების გაშუქებისას გონივრული ბალანსის დაცვის სტანდარტის დარღვევის შემთხვევები ხშირად გვხვდებოდა ვებგვერდებზე ambebi.ge და sputnik-georgia.com.

- ონლაინ მედიაში პრობლემად რჩება პოლიტიკური სპექტრის პლურალისტური და მრავალფეროვანი გაშუქება. მართალია, ვებგვერდთა უმეტესი ნაწილი სათანადო ყურადღებას უთმობს სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა გაშუქებას, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორინგისთვის შერჩეული ყველა ონლაინ მედიასაშუალების გაშუქების ნახევარზე მეტი ეთმობოდა მმართველ გუნდს - მმართველ პარტიასა და ცენტრალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებას. ზოგიერთი მედიასაშუალების შემთხვევაში კი მმართველი გუნდის გაშუქების სიხშირე გაცილებით მეტია, განსაკუთრებით რეგიონულ გამოცემებში (იხილეთ დანართი: დიაგრამები).

  იგივე შეიძლება ითქვას მერობის კანდიდატთა გაშუქებაზე - უმეტეს შემთხვევებში, დედაქალაქის თუ სხვა მუნიციპალიტეტების კანდიდატების გაშუქება ხდება პარტიული დაპირისპირებების კონტექსტში და ნაკლებად გვხვდება მათი საარჩევნო პროგრამებისა თუ მუნიციპალიტეტების განვითარების ხედვების ანალიზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება გარკვეულწილად ანარეკლია თავად წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემოსი, ვინაიდან თავად კანდიდატები, განსაკუთრებით, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი კანდიდატები, წინასაარჩევნო პერიოდში ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას მუნიციპალიტეტების განვითარების გეგმებსა თუ ხედვებზე და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უმეტესად განიხილავენ ხელისუფლების ცვლილების შესაძლებლობის კონტექსტში;

- ონლაინ მედიისთვის გამოწვევად რჩება კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტური სტანდარტების დაცვაზე ორიენტირებულ ვებგვერდებზე სარეკლამო მასალები ქვეყნდება სათანადო მითითებით, თუმცა ონლაინ მედიაში კვლავ რჩება რეიტინგული ვებგვერდების ნაწილი (მაგალითად, ambebi.ge, interpressnews.ge), რომელიც სარეკლამო მასალებს აქვეყნებს შესაბამისი მითითების გარეშე.

  განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ონლაინ მედიასაშუალება interpressnews.ge, რომელიც სისტემატურად აქვეყნებს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს არასათანადო მინიშნებით - წრეში მოთავსებული ლათინური სიმბოლოებით NS. შედეგად, მკითხველს არ ეძლევა საშუალება, რომ გაარჩიოს გამოქვეყნებული სტატიებიდან რომელია სარეკლამო და რომელი რედაქციის მიერ მომზადებული ჟურნალისტური ნამუშევარი. სხვადასხვა სახელმწიფო უწყების პიარისთვის

მომზადებულ ოფიციალურ პრესრელიზებს სარედაქციო მასალებად აქვეყნებს sputnik-georgia.com და mpn.ge;

- ონლაინ მედიის ყველაზე დიდი გამოწვევა მოვლენების ზედაპირული გაშუქებაა. მონიტორინგისთვის შერჩეული ვებგვერდების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს, რომ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები გააშუქოს სიღრმისეულად და მრავალმხრივად და რომ თავად ეძიოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. ონლაინ გამოცემების უმეტესი ნაწილი მხოლოდ მიყვება პოლიტიკოსთა დღის წესრიგს და უმეტესად სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენელთა და პოლიტიკოსთა განცხადებებსა და ყოველდღიურ საქმიანობას აშუქებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით ცხადად შეინიშნება რეგიონულ ონლაინ გამოცემებში;

- რეგიონული გამოცემების უმრავლესობა ვერ ახერხებს ადგილობრივი მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირებას რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ.

  რეგიონულ გამოცემებში მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება ინტერვიუები საარჩევნო კანდიდატებთან მუნიციპალიტეტების განვითარების გეგმებისა და ხედვების შესახებ. უმეტეს შემთხვევებში, აქტიურად, თუმცა ზედაპირულად და ფრაგმენტულად შუქდება რეგიონებში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის კანდიდატთა წარდგენა - ჟურნალისტთა მხრიდან მათთან პირდაპირი კომუნიკაცია კი უკიდურესად იშვიათია.

  რეგიონული ონლაინ მედიასაშუალებების მიერ ყოველდღიურად გამოქვეყნებული საკმაოდ მცირე რაოდენობის მასალების შეუსაბამოდ დიდი ნაწილი ეთმობა მმართველი პარტიისა და ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას (იხილეთ დანართი: დიაგრამები), რაც კიდევ უფრო ამცირებს მათი მკითხველის სათანადოდ ინფორმირების შესაძლებლობას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით;

- წინასაარჩევნო პერიოდში ონლაინ მედიაში გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც უცვლელად და უკომენტაროდ შუქდებოდა გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი განცხადებები, რომლებიც მიზანმიმართულად აკნინებდა ქალის როლს პოლიტიკაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებთან შედარებით, ასეთი მასალების გამოქვეყნების შემთხვევები შემცირებულია.

დანართი: დიაგრამები

დიაგრამებში წარმოდგენილია თითოეულ ონლაინ მედიასაშუალებაში ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტების რაოდენობრივი მონაცემები.






სუბიექტების გაშუქება (%)
batumelebi.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
30
19
13
9
9
7
3
10
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
აჭარის მთავრობა
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
batumelebi.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 9 59 32
ქართული ოცნება 8 61 31
ნაციონალური მოძრაობა 9 82 9
საქართველოსთვის 8 83 9
ადგილობრივი მთავრობა 12 64 24
აჭარის მთავრობა 12 69 19
ლელო საქართველოსთვის 90


სუბიექტების გაშუქება (%)
guriismoambe.com
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
30
26
11
6
6
4
4
13
ქართული ოცნება
მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
მიხეილ სააკაშვილი
საქართველოსთვის
ბიძინა ივანიშვილი
ადგილობრივი მთავრობა
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
guriismoambe.com
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 7 37 56
მთავრობა 10 48 42
ნაციონალური მოძრაობა 11 66 23
მიხეილ სააკაშვილი 20 59 21
საქართველოსთვის 23 59 18
ბიძინა ივანიშვილი 86
ადგილობრივი მთავრობა 62 25


სუბიექტების გაშუქება (%)
interpressnews.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
31
27
9
6
5
4
3
15
ქართული ოცნება
მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ლელო
ადგილობრივი მთავრობა
ევროპული საქართველო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
interpressnews.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 24 47 29
მთავრობა 32 56 12
ნაციონალური მოძრაობა 5 54 41
საქართველოსთვის 17 65 18
ლელო 9 85 6
ადგილობრივი მთავრობა 44 47
ევროპული საქართველო 78 17


სუბიექტების გაშუქება (%)
knews.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
52
17
9
6
5
3
2
9
მთავრობა
ქართული ოცნება
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოსთვის
ნაციონალური მოძრაობა
ლელო
ევროპული საქართველო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
knews.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 31 62 7
ქართული ოცნება 12 55 33
ადგილობრივი მთავრობა 24 67 9
საქართველოსთვის 88
ნაციონალური მოძრაობა 82 15
ლელო 90
ევროპული საქართველო 92


სუბიექტების გაშუქება (%)
kutaisipost.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
50
21
15
5
2
1
6
მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
ლეიბორისტული პარტია
საქართველოსთვის
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
kutaisipost.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა
7
69
24
ადგილობრივი მთავრობა
10
51
39
ქართული ოცნება
9
55
36
ნაციონალური მოძრაობა
88
ლეიბორისტული პარტია
95
საქართველოსთვის


სუბიექტების გაშუქება (%)
livepress.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
46
15
7
5
5
4
2
16
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
პრეზიდენტი
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
livepress.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 14 73 13
ქართული ოცნება 8 59 33
ნაციონალური მოძრაობა 13 65 22
საქართველოსთვის 17 57 26
ადგილობრივი მთავრობა 51 40
პრეზიდენტი 95
ლელო 90


სუბიექტების გაშუქება (%)
mpn.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
34
30
11
7
5
4
2
9
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
მიხეილ სააკაშვილი
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
ევროპული საქართველო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
mpn.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 38 61 1
ქართული ოცნება 31 65 4
ნაციონალური მოძრაობა 16 82
მიხეილ სააკაშვილი 17 79
საქართველოსთვის 80
ადგილობრივი მთავრობა 42 55
ევროპული საქართველო 83


სუბიექტების გაშუქება (%)
netgazeti.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
36
23
10
6
5
3
2
15
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
ლელო
პრეზიდენტი
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
netgazeti.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 8 64 28
ქართული ოცნება 3 60 37
ნაციონალური მოძრაობა 4 73 23
საქართველოსთვის 78 19
ადგილობრივი მთავრობა 77
ლელო 90
პრეზიდენტი 92


სუბიექტების გაშუქება (%)
news.on.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
38
26
9
6
3
2
2
14
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი
ადგილობრივი მთავრობა
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
news.on.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 7 64 29
ქართული ოცნება 4 51 45
ნაციონალური მოძრაობა 60 37
საქართველოსთვის 71 25
პრეზიდენტი 72
მიხეილ სააკაშვილი 50 46
ადგილობრივი მთავრობა 73


სუბიექტების გაშუქება (%)
publika.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
42
23
8
4
4
2
2
15
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
ევროპული საქართველო
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
publika.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 12 68 20
ქართული ოცნება 5 56 39
ნაციონალური მოძრაობა 7 63 30
საქართველოსთვის 75 22
ადგილობრივი მთავრობა 74
ევროპული საქართველო 93
ლელო 98


სუბიექტების გაშუქება (%)
qartli.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
38
26
15
13
3
2
2
1
მთავრობა
ქართული ოცნება
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოსთვის
ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
პრეზიდენტი
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
qartli.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 17 62 21
ქართული ოცნება 11 66 23
ადგილობრივი მთავრობა 7 77 16
საქართველოსთვის 17 73 10
ნაციონალური მოძრაობა 85
ევროპული საქართველო 85
პრეზიდენტი


სუბიექტების გაშუქება (%)
radiotavisupleba.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
34
24
9
7
3
2
2
19
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
ევროპული საქართველო
მიხეილ სააკაშვილი
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
radiotavisupleba.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 8 66 26
ქართული ოცნება 4 65 31
ნაციონალური მოძრაობა 4 69 27
საქართველოსთვის 72 24
ადგილობრივი მთავრობა 69 24
ევროპული საქართველო 85
მიხეილ სააკაშვილი 54 44


სუბიექტების გაშუქება (%)
reginfo.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
47
23
8
6
3
2
2
9
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
მიხეილ სააკაშვილი
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
reginfo.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 12 66 22
ქართული ოცნება 9 59 32
ნაციონალური მოძრაობა 7 67 26
საქართველოსთვის 66 27
ადგილობრივი მთავრობა 54 34
მიხეილ სააკაშვილი
ლელო


სუბიექტების გაშუქება (%)
sknews.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
33
21
10
10
5
5
4
12
მთავრობა
ქართული ოცნება
ადგილობრივი მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
საქართველოსთვის
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
sknews.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 12 70 18
ქართული ოცნება 13 56 31
ადგილობრივი მთავრობა 12 60 28
ნაციონალური მოძრაობა 91 7
ევროპული საქართველო 98
საქართველოსთვის 90
ლელო საქართველოსთვის 91


სუბიექტების გაშუქება (%)
sputnik-georgia.com
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
46
16
7
6
4
3
2
16
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოსთვის
პრეზიდენტი
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
sputnik-georgia.com
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 30 64 6
ქართული ოცნება 12 69 19
ნაციონალური მოძრაობა 6 74 20
ადგილობრივი მთავრობა 48 51
საქართველოსთვის 79
პრეზიდენტი 89
ლელო 94


სუბიექტების გაშუქება (%)
tabula.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
32
26
9
8
4
3
3
15
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
საქართველოსთვის
მიხეილ სააკაშვილი
დროა
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
tabula.ge
5 ივლისი - 25 სექტემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 8 59 33
ქართული ოცნება 6 45 49
ნაციონალური მოძრაობა 5 72 23
ევროპული საქართველო 3 94 3
საქართველოსთვის 70 25
მიხეილ სააკაშვილი 30 6 3
დროა 89